



## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 78

ქალაქი ქუთაისი 30 მაისი 2018 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“  
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის  
14 მარტის № 61 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

**მუხლი 1.** „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 მარტის №61 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმიდან ამოღებული იქნეს №202 პუნქტი.

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმას დაემატოს №203 – №209 პუნქტები თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

**მუხლი 2.** კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრადის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

## ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და

## სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	სარეგისტრაციო ნომერი	საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	აუქციონით განკარგვის ფორმა (პირობით ან უპირობოდ)	სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
1	2	3	4	5	6	7	8
203	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ა.წერეთლის ქუჩა, სააქციო საზოგადოება „ლითოფონის ქარხნის საზღვრებში“ (ნაკვეთი №1)/ქალაქი ქუთაისი, ა.წერეთლის ქუჩა, სააქციო საზოგადოება „ლითოფონის ქარხნის საზღვრებში“ (ნაკვეთი №2)/ქალაქი ქუთაისი, ა.წერეთლის ქუჩა, სააქციო საზოგადოება „ლითოფონის ქარხნის საზღვრებში“ (ნაკვეთი №3) ქალაქი ქუთაისი, ა.წერეთლის ქუჩა №192 (ნაკვეთი №2-2), ნაკვეთი №2	4374	03.06.21.439	115.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
204	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, გუგუნავას ქუჩა (ბაგა-ბაღის მიმდებარედ)	66	03.05.24.100	44.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
205	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, სულხან-საბას გამზირი №47-ის სამხრეთით	77	03.05.24.588	32.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
206	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქ ქუთაისი, ნიკვას ქუჩის ბოლო მონაკვეთი	11377	03.05.23.520	32.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
207	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ნიკვას ქუჩის II შესახვევი, №32ე (ნაკვეთი №2)	975	03.05.23.584	32.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში

208	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ნიკეას ქუჩის II შესახვევი, №32დ (ნაკვეთი №1)	714	03.05.23.583	32.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
209	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ჯავახიშვილის ქუჩა №83ა-ს ჩრდილოეთით (ნაკვეთი № 2)	600	03.01.22.346	135.0 1 კვ.მ.-ზე	<b>პირობებით:</b> აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია შეძენილ უძრავ ქონებაზე ორი წლის განმავლობაში განახორციელოს არანაკლებ 1 მილიონი ლარის ინვესტიცია და დაასაქმოს მინიმუმ 30 ადამიანი	აუქციონში გამარჯვებულმა, აუქციონზე დასახელებული საბოლოო ღირებულების გადახდა (აუქციონში მონაწილეობის მისაღებად მის მიერ გადახდილი თანხის გამოკლებით) განახორციელოს სამ ეტაპად, არაუგვიანეს 2018 წლის 20 დეკემბრისა

საკრებულოს თავმჯდომარე

ნიკოლოზ ლატარია